„ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას?“, ანუ - რატომ სცემეს ჟურნალისტები?

Valeri Otkhozoria
Caucasus International University, Georgia

აბსტრაქტი

ქართულმა საზოგადოებამ პოსტ-საბჭოთა დროში განვითარების ორი საფეხური გაიარა და მესამეს - სინდისის საფეხურს მიუახლოვდა. 1. სურვილის ტყვეობაში ჩავარდნა და მსხვერპლის გამოწვევა; 2. იმედგაცრუება და მამის ფიგურაზე ჩამოკიდება; 3. იმედგაცრუება... მერაბ მამარდაშვილი - ფილოსოფოსი, 1989 წელს აფრთხილებდა საზოგადოებას შესაძლო უბედურების შესახებ, რომელსაც მისი გაუაზრებელ მოქმედებათა ჯამი გამოიწვევდა. სამწუხაროდ, მამარდაშვილის ნეგატიური პროგნოზი გამართლდა. მხოლოდ ოცდაათი წლის შემდეგ გარდა შესაძლებელი საზოგადოების განვითარება იმ დონეზე, რომ მამარდაშვილის 1989 წელს ნათქვამი სიტყვა ადეკვატურად იქნეს მოსმენილი და გაგებული. რაც შეეხება 2021 წლის 5 ივლისის მოვლენებს, ანუ ჟურნალისტებზე თავდასხმას საზოგადოების მხრიდან, ეს მოვლენა ჩვენ მიგვაჩნია მესამე სტადიის დასაწყისის, ანუ ავტორიტეტის გაუფასურების გამოხატულებად, რომელსაც აქამდე მედია, როგორც სიმართლის ქომაგი და რევოლუციის (სამართლიანობის) დედა, წარმოადგენდა.

საკვანძო სიტყვები: მამარდაშვილი, ხუთი ივლისი, სამშობლო, ჭეშმარიტება, საქართველო.

`Is the Truth above of Party`?, Or – Why were being beaten Journalists?

Abstract

Georgian people has achieved two levels of development and approached to third level – of Conscience. 1. Be captured by Desire and make a Sacrifice; 2. Be frustrated and transfer to Figure of Father; 3. And Frustration again… A Philosopher – Merab Mamardashvili declared in his 1989 speech about a great socio-cultural danger made by affections of different groups. Unfortunately, Mamardashvilis's negative prognoses were approved. Only after 30 years of civil developing became possible adequately understanding Mamardashvili's words spoken in 1989. What about `events of 5 July 2021` when more than 50 journalists were troubled by protesters on Rustaveli Avenue, this event we see as symbolic manifestation of emotionally deprived society when it seems frustrated by the Media. During last 30 years, Media was Mother of Truth and Justice (the revolution) because it was one of idol of Father's Figure for society.

Keywords: Mamardashvili, 5 July, Party, Truth, Georgia.

ჩემი მოხსენების სათაურის პირველი ფრაზა აუცილებლად გაახსენებს ქართველ ადამიანს მერაბ მამარდაშვილის ფიგურას, ხოლო მეორე ფრაზა - ე.წ. ხუთი ივნისის მოვლენებს[1]. თუმცა, სინამდვილეში, ჩვენს ქვეყანაში ბევრმა არც იცის, ვინ იყო მერაბ მამარდაშვილი... ხოლო, თუკი ამ კითხვას ფილოსოფიურ ელფერს დავამატებთ, მაშინ ამ საკითხის მიმართ ყველანი სოკრატეს პოზიციაში უნდა აღმოვჩნდეთ (*მე სწორედ ის ვიცი, რომ არ ვიცი; ესე იგი: მე ვიცი, რომ არ ვიცი, ვინ იყო მამარდაშვილი... მაშასადამე, ვალდებული ვარ, გავიხსენო ის!*[2]), თუ გვინდა, რომ სინდისს არ ვუღალატოთ.

ჩვენი მოხსენების პირველი ჰიპოთეზაც ასეთი იქნება: *„მერაბ მამარდაშვილი არის ის, ვინც ჩვენ გველაპარაკება სინდისზე.“* სოკრატეს მიხედვით, სწორედ ის გველაპარაკება სინდისზე, ვინც მის დანაკლისს გრძნობს. ქვე-ჰიპოთეზა: *„მამარდაშვილი გრძნობდა სინდისის დანაკლისს ჩვენს საზოგადოებაში.“* შემდეგი ქვე-ჰიპოთეზა: *„მისი ეს ფრაზა („ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას“) პრაქტიკულად ამბობს იმას, ეუბნება მათ, რომელთაც მამარდაშვილის ესმით - ფაქტობრივად* და არა

1 2021 წლის 5 ივლისს, ლგბტქ+ უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, 50-ზე მეტ ჟურნალისტზე მოხდა თავდასხმა, ფიზიკური შევიწროვება ან ანგარიშსწორება სხვა ფორმით, რუსთაველის გამზირზე გამოსული საზოგადოებრივი აზრიდან.

2 არ დაგვავიწყდეს, რომ სოკრატეს არცოდნა არ არის მარტივი არცოდნა.. ეს არ არის არცოდნა: მე არ ვიცი და ეს არც მაწუხებს. სოკრატეს არცოდნა უნიკალური ფენომენია ფილოსოფიის ისტორიაში, რომელმაც, როგორც არაფერმა სხვამ, სწორედ ამ არცოდნამ დაბადა, როგორც ასეთი, ფილოსოფია. ეს არცოდნა კი შეიძლება ასე გამოითქვას: „მე არ ვიცი, მაგრამ ვალდებული ვარ - თუკი მამარდაშვილის ენაზე ვიტყვით: „თუ მინდა, რომ სინდისის ერთგული დავრჩე“ - ვიცოდე!“ ეს არის არცოდნა, რომელიც არ მასვენებს და სულ უფრო მახლოვდებს სინდისთან. ამ არცოდნის ატრიბუტი, უპირველეს ყოვლისა, არც ეჭვია და არც მოპოვებული ცოდნა, და არც ცოდნის ძიება, არამედ - სინდისი!

ფილოსოფიური გაგებით, - რომ ისინი უსინდისოები არიან და სამშობლოს სახელს ამოფარებულნი; ჭეშმარიტება მათთან არ არის, რადგან უსინდისობა ღალატია ჭეშმარიტებისა, მაშასადამე სინდისისა." იქვე, მამარდაშვილი განმარტავს, ეუბნება თავის მსმენელთ: თქვენ, აყოლილნი *ვნებებს,* ხართ, როგორც ბრმანი და არ იცით, რას სჩადით, ასე კი შეიძლება ძალმომრეობის ქარიშხალი დაატრიალოთ.[3] ცხადია, - პოეტურად რომ ვთქვათ, - დატრიალდა კიდეც ეს ქარიშხალი და დღემდე არ ჩაწყნარებულა.

ფსიქოანალიტიკური ყური სულ სხვანაირად მოისმენდა ამ ფრაზას, მაგალითად ჟიჟეკიანური პერსპექტივიდან.[4] ამ თვალსაზრისით, ეს ფრაზა უკუღმა უნდა გავიგოთ. პერვერტული ბირთვი იმდროინდელი და თუნდაც ამდროინდელი რეალობისა, ამ ფრაზის, სწორედ, რომ უკუღმართობაშია. ფილოსოფიური ელფერის მოცილებით,[5] იგი გამოითქმის ასე: *„ეს ჩემთვის - მამარდაშვილისთვის, არის სამშობლო[6] მართლაც ძვირფასი, თქვენთვის კი ძვირფასი მხოლოდ თქვენი ჭეშმარიტებაა: თქვენთვის ჭეშმარიტება მხოლოდ ის არის, რაც თქვენ გსურთ, ესე იგი - თქვენი სურვილი!"*

რა სურდა იმ დროს ქართულ საზოგადოებას? რა სურდათ ეროვნულ მოძრაობაში ჩართულებსა თუ ჩათრეულებს? ჩვენ ვამბობთ „საზოგადოებას", რადგან სურვილის სუბიექტი მრავალია, ხოლო ობიექტი ერთია. რომელი იყო 90-იანი წლების მრავალთა სურვილის ობიექტი, მათი მეტოქეობის საგანი? *მეტოქეობის* გათვალისწინება ამ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან მეტოქეობის გარეშე ვერ მივაკვლევთ სურვილის რეალურ საგანს. რენე ჟირარის[7] მოძღვრება სურვილის შესახებ, გასაკვირად დამაჯერებლად გვიხსნის 90-იან წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენების მარტივ ლოგიკას.

ჟირარის მიხედვით, სურვილი მძაფრი ხდება იქ, სადაც მისი ობიექტი მრავალი სუბიექტის მეტოქეობის საგანია. და რადგან ბევრმა ერთ საგანზე უნდა იდავოს, ამიტომაც ამ საგნის სურვილი მრავალს ერთნაირად, ან უფრო მძაფრად გადაედება. სურვილი უმეტეს შემთხვევაში გადადებულია, ვიდრე დამოუკიდებლად გაჩენილი. სალომეს სურვილი არ გააჩნია, როდესაც ჰეროდე ეუბნება, მითხარი, რა გსურს და ნახევარ სამეფოსაც დაგითმობო. სალომემ არ იცის, რა უნდა და იგი დედასთან მიდის, რა ვთხოვოო. ჰეროდია კი ეუბნება, იონაეს თავი თხოვეო. ამ მომენტიდან სალომეს უფრო მეტად უნდება იონეს თავი, ვიდრე დედამისს, მიუხედავად იმისა, რომ იოანეს მიმართ მას პირადი დაინტერესება არ ჰქონდა.[8] იგივე ლოგიკით ხდება დაინტერესება დამოუკიდებლობის მოპოვებით ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოში. ეს სურვილი კონსტანტინედან გადაედება ზვიადს, ზვიადიდან გადაედება სხვებს და იმგვარ, თავბრუდამხვევ ქარიშხლად გადაიქცევა, რომ ბალტიის პირეთის ქვეყნებიც კი გაკვირვებულნი რჩებიან, რატომ ჩქარობს საქართველო ასე ძალიან საბჭოთა კავშირიდან თავის დაღწევასო. სიმართლე ითქვას, ეს თვით საქართველომაც არ იცის და ვერც ეცოდინება, რადგან სურვილი და ცნობიერება სულ სხვადასხვა მხარეს არიან, სურვილი ამ შემთხვევაში ცდუნების, ვნებისა და ჭეშმარიტების[9] ანკლავში იფურჩქნება.

მამარდაშვილი ამბობს (აქ, ვფიქრობ, ჟირარის გათვალისწინება ნამდვილად გვმართებს): *თქვენ - საზოგადოება, მიმეზისის ხიბლში ძალმომრეობას სჩადიხართ და სინდისს ღალატობთ.* სინდისი კი, ამ შემთხვევაში, *საკუთარი სურვილის დაწახვაა,* აღმოჩენა საკუთარი სურვილის სარკეში, რაც მიმეტურ ხიბლში დაბრმავებულს არ შეუძლია; მაგრამ რომ შეეძლოს, თვალებს გაახელდა (თუმცა, თვალის გახელის გარეშე ამას ვერ შეძლებდა, თვალები კი დახუჭული აქვს...) და შეიძლება ფილოსოფოსიც[10] გამხდარიყო.

სურვილის მსხვერპლი ითხოვს მსხვერპლს, რომელსაც „განტევების ვაცი" ჰქვია. ეს სალომეს შემთხვევაში იოანე ნათლისმცემლის თავია, ჩვენს შემთხვევაში - თავად მამარდაშვილი და შემდგომ - ზვიად გამსახურდია. ჟურნალისტებიც, რომლებიც სცემეს, რა თქმა უნდა, განტევების ვაცები არიან.

3 მერან მამარდაშვილი -1989 წელი, სახალხო ფრონტის ყრილობა. https://www.youtube.com/watch?v=GAJLVpEC3Y0 [14.10.2021]

4 Ибид. Жижек, Славой. Кукла и карлик. Москва: „Европа", 2009. Ст. 5-6.

5 გავიხსენოთ, რას ამბობდა მამარდაშვილი ფილოსოფიაზე, რომ ფილოსოფიური მეტყველება არანორმალური მეტყველებაა; არანორმალური, მაშასადამე - უკუღმართი; უკუღმათი (ჩვეულებრივი მეტყველებისთვის), მაგრამ ჭეშმარიტი, „სინდისის ხმა" (როგორც მამარდაშვილისგან არდაფასებული პაიდეგერი იტყოდა), მისი ერთგული. ამ მხრივ, მამარდაშვილი პრაქტიკულად ფილოსოფიური სიტყვის რევოლუციურ და ფსიქოანალიტიკურ მნიშვნელობაზე საუბრობს, რაც პრინციპში ერთი და იგივეა.

6 გავიხსენოთ, რას ამბობდა მამარდაშვილი სამშობლოზე, რომ ფილოსოფოსს აქვს სამშობლო დროისა და სივრცის მიღმა, აზრის სფეროში, ტრანსცენდენტურ სამყაროში, აზროვნების აქტში, ანუ სინდისის ტერიტორიაზე, რომელზეც იგი მზად არის სიკვდილისთვის, იგივე მესია (აბსოლუტურად ავთენტიური ის, რომ მამარდაშვილი ქრისტიანული მეტაფორებით აზროვნებს).

7 ჟირარი, რენე. ცდუნება და ეკლეკი: სალომე მარკოზის სახარებაში. წყარო: ბიბლია პოსტმოდერნული პერსპექტივიდან. შემდგენელი - თამარ ციფურაშვილი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013.

8 ჟირარი, რენე. ცდუნება და ეკლეკი: სალომე მარკოზის სახარებაში. წყარო: ბიბლია პოსტმოდერნული პერსპექტივიდან. შემდგენელი - თამარ ციფურაშვილი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013. გვ. 53-55.

9 ჟირარი ამტკიცებდა ალწერს ჭეშმარიტებისა და ცდუნების სპეციფიკურ გადახლართვას: „სურვილს არ ყავს ობიექტი უარესი მტერი, ვიდრე მისივე ჭეშმარიტება. სურვილი ყოველნირად ცდილობს, რომ ჭეშმარიტება ცდუნებად აქციოს. თავად ჭეშმარიტება ხდება საცდური, და ეს არის ცდუნების ყველაზე უარესი შემთხვევა." [ჟირარი, 2013:57.] გაბა, იგივეს არ ამბობს მამარდაშვილიც: თქვენ რაც სამშობლო გგონიათ, თქვენი ვნებებია, ესე იგი მანიაკალური თავრუხვევა სურვილის მიმეტური მექანიზმით, ჭეშმარიტება კი სულ სხვაგანაა, თქვენ ამაზე ხელი ახლა, ამ ტრაგიკული რიტუალის, ესე იგი კრიზისის ფარგლებში, რომელიც ეუცილოლად მსხვერპლით დასრულდება, არ მიგიწვდებიან.

10 მაშასადამე, ფილოსოფოსი არის ის, ვინც საკუთარი სურვილის მარაზმს ჭვრეტს, რაც აგრეთვე ნიშნავს: ვინც სურვილის მარაზმს ჭვრეტს. ფილოსოფოსი სურვილისგან თავმეკავებული, რაც ძალიან კარგად ჩანს პლატონის „ნადიმში", ე.წ. პლატონურ სიყვარულში, რომელსაც ამ ბრწყინვალე რომანში სოკრატე ბენიალურად თამაშობს.

თუმცა, აუცილებელია, თუნდაც ჩვენი პოსტმოდერნულ-პოსტსტრუქტურალური ლოგიკით, მსხვერპლთა დიფერენციაცია, მინიმუმ, *ფილოსოფოს* და *არაფილოსოფოს* მსხვერპლებად. რადგან ფილოსოფოსი მსხვერპლის შემთხვევაში, სადაც სოკრატესთან ერთად მამარდაშვილიც იგულისხმება, *რჩება სასამართლო (რომელმაც ფილოსოფოსი მოკლა),* როგორც *კულტურული, საზოგადოებრივი* და *საზროვნო* პროცესი, ხოლო არაფილოსოფოსი მსხვერპლის შემთხვევაში ვიღებთ *ტრაგიკული*[11] შემთხვევის პარანოიდულ გამეორებას, ანუ მორიგი მსხვერპლის იმპლიციტურ მოთხოვნას. მაშასადამე, მამარდაშვილი მიგვანიშნებდა, როგორ უნდა გაერღვია პოლიტიკური ტრაგედიის (პოტენციურად) დაუსრულებელი ჯაჭვი (რომელსაც, სხვათა შორის, ჰეგელი „უბედურ ცნობიერებას" უწოდებს) - ფილოსოფიას, ანუ სინდისის ლოგიკას, იგივე გონებას. ტრაგედია ის კი არ არის, რომ ჟურნალისტები სცემეს, არამეს ის, რომ ეს ჟურნალისტები ვერ აღმოჩნდნენ ფილოსოფოსები, რის გამოც „დამსახურებულად მიიღეს"[12], ანუ არ შედგა *სასამართლო.* არც იოანე, არც ზვიადი და არც მიშა ფილოსოფოსები არ არიან, ამიტომაც ტრაგიკული მსხვერპლები არიან. ტრაგედიაზე კი ვერ შენდება სახელმწიფო, პირიქით, ტრაგედიით ინგრევა სახელმწიფო,[13] რადგან სახელმწიფო თვითონ არის ფილოსოფია, იგივე სინდისი, და ფილოსოფიით, იგივე სინდისის დაცვით შენდება. ამდენად, მამარდაშვილი იმას გულისხმობდა, რომ *ფილოსოფიური სამშობლო ტრაგიკულზე მნიშვნელოვანია.*[14]

ამგვარი ინტერპრეტაცია, რომელიც ალბათ ყველაზე იოლად მისაღწევია, რადგან ამავე დროს ყველა პრიმიტიულიცაა, მამარდაშვილის კონცეფციის რეცეფციის პირველ სტადიას წარმოადგენს. გაცილებით საინტერესოდ და პროდუქტიულად გამოიყურება მეორე სტადია, რომელიც პირველისაგან განსხვავებით, ტრაგიკულსა და ფილოსოფიურს არა მხოლოდ მიჯნავს ერთმანეთისგან, არამედ დიფერენციაციას წარმოადგენს, როგორც ორმხრივ, ურთიერთგაპირობებულ პროცესს, სადაც ტრაგედიიდან ფილოსოფიაში, ფილოსოფიიდან კი ტრაგედიაში გადავდივართ. ამ ეტაპზე, ანუ ამ სტადიაში, ტრაგედია არ უნდა გავიგოთ მხოლოდ როგორც ჟანრი, არამედ როგორც თეატრი, ცხოვრების თეატრი, ასე ვთქვათ - სტილი, რომელიც ტრაგედიასაც და კომედიასაც თანაბრად გულისხმობს. ამ ნაწილში, მამარდაშვილი თამამად აიგივებს ერთმანეთთან ფრანგულ ფილოსოფიასა და ცხოვრებას, გერმანულ ფილოსოფიასა და ცხოვრებას, რუსულ ფილოსოფიასა და ცხოვრებას, და ქართულ ფილოსოფიასა და ცხოვრებას.[15] მისი პოზიცია ასეთია: მაჩვენე ფრანგული წიგნი და გეტყვი, როგორია ფრანგი ადამიანი; იგივე პრინციპი ვრცელდება ნებისმიერი ერის წიგნსა და ადამიანზე. სწორედ ამ ნაწილში საუბრობს მამარდაშვილი იმაზე, რომ გერმანელებმა ტყიდან გამოსვლა დააგვიანეს, რომ რუსები განვითარების ემბრიონულ სტადიაში ჩარჩნენ, რომ ქართველებს უკანონო, აუხსნელი სიხარული სჩვევიათ. თუმცა, მეორე სტადია მამარდაშვილის რეცეფციისაა სტატუს ქვოს მამარდაშვილისეულ ანალიზს მიემართება, და მხოლოდ მესამე სტადიაზე შეგვიძლია გავიგოთ კონცეფციის პოტენციალი პროგნოზირების თვალსაზრისით.

ყველაზე მნიშვნელოვანი ერების მიმართ ერთი შეხედვით მამარდაშვილის საეჭვო დამოკიდებულებაში არის ის, რომ ამოხსნილია საზოგადოებრივიდან (თეატრი) პოლიტიკურში (ფილოსოფია) გარდამავლობის ფენომენი. ამ კუთხით, დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, მამარდაშვილს მოუწევდა მიეღო გერმანული ტრანსფორმაცია, ან მისთვის „გერმანული" პოზიციით უარეყო ის, როგორც მოჩვენება. ჩვენ ამ გზაგასაყარზე ანტი-კონსერვატიულ პოზიციას ავირჩევთ და ვამტკიცებთ, რომ ტრანსფორმაცია შესაძლებელია, უფრო სწორად, რიგ შემთხვევებში შეუძლებელია, რომ ტრანსფორმაცია არ მოხდეს. სწორედ ამგვარ შემთხვევას წარმოადგენს, ჩვენი აზრით, ხუთი ივლისის ჟურნალისტების ცემის ფენომენი. ამ მოვლენით, ჩვენ ვამტკიცებთ, საზოგადოება ტრაგიკული სცენიდან ფილოსოფიურ სცენაზე გადავიდა. აღნიშნული მოვლენის ახსნა გენეალოგიური მიდგომით[16] უნდა ვცადოთ.

სახალხო ფრონტის კრებაზე მამარდაშვილის გამოსვლის დროს საზოგადოება ინფანტილურ მდგომარეობაში იმყოფება, როცა ჯგუფებს თავიანთ ჭეშმარიტებას, ანუ სურვილს, მაღლა აყენებენ

11 ტრაგედიის აქეს გამეორების მანიაკალური სურვილის გაღვიძების პოტენციალი. თეატრის რეჟისორმა დათა თავაძემ ჩემთან საუბარში თქვა, რომ ხალხს ტრაგედიის ყურება მოსწონს.

12 სიცრუედ მიმაჩნია იმის მტკიცება, რომ ჟურნალისტების დამსახურები ეემის განცდა მხოლოდ ფაშისტურად გაწყვეტილ ვირო ჯგუფებს გაანნიათ, ან გაანნდათ. ნამდვილი ფაშიზმი, თუ სიმარილე ვინტერესებთ, ამ ჟურნალისტების, ანუ ფილოსოფოსების ინტელექტუალების არაფილოსოფიურობაშია, რის გამოც მსხვერპლშეწირვა სასამართლო პროცესის მიღმა ხდება, როგორც მანიაკალური რიტუალური, ანუ პოლიტიკური ტრაგედია.

13 „ანტიფონე" არის შესანიშნავი მაგალითი ფილოსოფიის სიღატაკისა ტრაგედიის სიმდიდრის ხანაში, თუმცა ამ პიესას ამ კუთხით სამწუხაროდ არავინ ასწავლის.

14 აქვე უნდა გავიხსენოთ „ტანუელი სამშობლოს" მოტივის მომძლავრება თერგდალეულებთან და საბჭოთა საქართველოს არსებობის მეორე ნახევარში, რომელთაგან, სამწუხაროდ, ვერც ერთს შეეფასებთ დადებითად, სწორედ, მათი ფილოსოფიური სიღატაკის გამო.

15 მამარდაშვილი, მერაბ. ჩაბმული ფიქრი, საუბრები ანი ეპეფლოვანთან. მთარგმ. მზია ბაკურაძე. თბილისი: „ჩვენში", 1992. გვ. 23-25.

16 ამ მიდგომას მედიცინაში ანამნეზი ქვია, რომელსაც ფროიდი აქტიურად იყენებს. მაგალითად, ესეში „ბავშვს სცემენ", ის ცდილობს მეშოვეთავაზის ამ ფანტაზიის გენეალოგიური რეკ.. ` A Child is being beaten.` Contribution to the Understanding of the Origin of Sexual Perversions. In: Freud, S. The Psychology of Love. London: Penguin Books.

სამშობლოზე, ანუ სინდისზე. 90-იან წლებში ეს ჯგუფები და საზოგადოება საკუთარი სურვილის ფეტიშზე წამოეგება. ხოლო, „ვარდების რევოლუციის“ წინა პერიოდში კანონზომიერად საზოგადოება თავისი სურვილის ფანტაზიაში (უკვე მეორე საფეხურზე) მამის ფიგურას ჩამოეკიდება, რომლის რეალურ როლს ასრულებს უფრო მეტად მედია, ვიდრე პოლიტიკოსები (ყოველთვის, საზოგადოების განწყობაში მედია პოლიტიკოსებზე მართალია). მიხეილ სააკაშვილის მთავრობის გაცრუებული იმედების შემდეგ, საზოგადოებას საბოლოოდ უცრუვდება იმედი მედიაზე (მესამე და დამამთავრებელი სტადია). შეცდომას უშვებს ყველა, ვისაც ჰგონია, რომ საზოგადოების მთავარი იმედგაცრუება მთავრობის მიმართ იმედგაცრუებაა. გაცილებით ტრაგიკული და ფილოსოფიური მედიაზე საზოგადოების მხრიდან გულის აცრუებაა, როგორც ინფანტილიზმიდან გამოსვლის წინარე ნაბიჯი. ხალხი მიხვდა, რომ მედია ვერ იქნება დედა, რომელიც ძუძუთი გამოკვებავს, რომ მის რძეში შხამიცაა გარეული, და როგორც ბავშვმა, „დედას“ „უკბინა“.[17] ამიერიდან, მან იცის, რომ ძუძუს ნაცვლად პირში მატყუარა უდევს. სწორედ ამ მტკივნეული მომენტის დადგომის ფაქტი მიგვაჩნია ჩვენ *სინდისზე* გადასვლის წინაპირობად, როდესაც საზოგადოება აღმოჩნდება საკუთარი სარკის წინაშე, და ცხადია, საბოლოოდ, მამარდაშვილსაც დაინახავს.

შეჯამების სახით, მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა საზოგადოებამ განვითარების ორი საფეხური გაიარა და მესამე საფეხურის წინ დგას. პირველი საფეხური სურვილის მიმეტური თავბრუხვევის სტადია იყო, როცა ყველა ილტვოდა სამშობლოსკენ, ვნებით შეპყრობილი, რადგან სურვილის ჟირარისეულმა ლოგიკამ შეიპყრო ისინი. მსხვერპლის შემდეგ, საზოგადოებას დაეუფლა იმედგაცრუება და არა ტკბობა, როგორც ამას ჟირარი აღგვიწერს მარკოზის სახარებიდან. საქმე ისაა, რომ ტკბობა შესაძლოა დაუფლებოდა მცირე ჯგუფს ხელისუფლებიდან ან ელიტიდან, მაგრამ საზოგადოების უდიდესი ნაწილი ფრუსტრირებული აღმოჩნდა. აქ ჩაირთო განვითარების მეორე საფეხურის მექანიზმი: ფრუსტრირებული საზოგადოება ეძებს მამას, რომელსაც ყველაფერს გადააბარებს და რომლისგანაც ყველაფერს მოითხოვს. ამ ფუნქციას ბნელ საქართველოში ნაწილობრივ ატარებდა მედია და ნაწილობრივ ეკლესია, ვარდების რევოლუციის შემდეგ კი, მამის ფუნქცია გადანაწილდა ხელისუფლებაზე, მედიასა და ეკლესიაზე. 2012 წელს საზოგადოებამ განიცადა საბოლოო იმედგაცრუება ხელისუფლებაზე, რასაც მოჰყვა უკანასკნელ წლებში იმედგაცრუება მედიაზეც. საზოგადოებამ დაინახა, რომ მედია არ არის თავისთავად სიმართლის მხარეს. ჩვენ ვთქვით, რომ 5 ივლისის მოვლენები იყო გამოხატულება საზოგადოების მხრიდან მედიაზე გულის აცრუებისა და მისგან დისტანცირებისა, რაც განვითარების მესამე საფეხურის, მამარდაშვილის სიტყვასთან დაბრუნების, ანუ სინდისის განვითარების წინაპირობად ჩავთვალეთ. თუმცა, ღიად რჩება შემდეგი საკითხი: ელოდება თუ არა საზოგადოებას იმედგაცრუება ეკლესიისგან და მოხდება თუ არა საქართველოში „ღმერთის სიკვდილი“? ეკლესიაზე გულის გატეხვის გარეშე, საზოგადოების სინდისი შედგება თუ არა ისე, როგორც ამას საჭიროდ მიიჩნევდა მამარდაშვილი?

ბიბლიოგრაფია

ჟირარი, რენე. ცდუნება და ცეკვა: სალომე მარკოზის სახარებაში. წყარო: ბიბლია პოსტმოდერნული პერსპექტივიდან. შემდგენელი - თამარ ცოფურაშვილი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013.

მერაბ მამარდაშვილი - 1989 წელი, სახალხო ფრონტის ყრილობა. https://www.youtube.com/watch?v=GAJLVpEC3Y0 [14.10.2021]

მამარდაშვილი, მ. ჩახშული ფიქრი. საუბრები ანი ეპებლუანთან. თბილისი: „ჩელმი“, 1992.

Freud, S. `A Child is being beaten. ` Contribution to the Understanding of the Origin of Sexual Perversions. In: The Psychology of Love. London: Penguin Books.

Жижек, Славой. Кукла и карлик. Москва: „Европа“, 2009.

17 ფროიდის „ბავშვის ცემის“ ფანტაზიისგან განსხვავებით, მამარდაშვილის კვალდაკვალ, ჩვენ ვვფარი, რომ ამ ფანტაზიის აყოლილი საზოგადოების მდგომარეობა კი არ დამძიმდება, არამედ გაუმჯობესდება პოლიტიკური გაჯანსაღების გზით. პოლიტიკური გამოსვლის არსებობის ეს საზოგადოებრივი მომენტი არის ქვაკუთხედი იმისა, თუ რა განასხვავებს საზოგადოებას ჩვეულებრივი ინდივიდისგან, რომლის ფანტაზიაც დიდწილად მის ფსიქიკაში ჩაკეტილი მაშინ, როცა საზოგადოებას აქვს საშუალება ინფანტილიზმიდან გამოსვლის პოლიტიკური (რომელიც ამავე დროს შინაგანია) გაწხოვლება იპოვოს.